ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამა
English Access Scholarship Program
ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი“

ამერიკული ორგანიზაცია PH International-ი და ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი“ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით იწყებს „ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამას“ (English Access Scholarship Program).

„ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამას“ (English Access Scholarship Program) უკვე მრავალი წელია (2010 წლიდან) ახორციელებს ორგანიზაცია PH International-ი („პროექტი ჰარმონიის ფილიალი საქართველოში“), ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

პროგრამა მიზნად ისახავს ხელმისაწვდომი გახადოს ინგლისური ენის შესწავლა 14-დან 16 წლამდე მოზარდებისთვის. პროგრამაში ჩართული ბავშვები, ინგლისური ენის შესწავლასთან ერთად, განივითარებენ ლიდერულ თვისებებს, შესაძლებლობა ექნებათ, შეაფასონ თავიანთი უნარ-ჩვევები, დაისახონ მიზნები და ჰქონდეთ სწრაფვა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისკენ.

პროგრამა ორწლიანია და მოიცავს სწავლების 4 სემესტრს.

პირველი სემესტრი: ნოემბერი 2026 – თებერვალი 2027
მეორე სემესტრი: მარტი – ივლისი 2027
მესამე სემესტრი: სექტემბერი – დეკემბერი 2027
მეოთხე სემესტრი: იანვარი – ივნისი 2028

პროგრამის მონაწილე 20 მოზარდის და 5 სარეზერვო კანდიდატის არჩევა ხდება კონკურსის შედეგად შევსებული სააპლიკაციო ფორმის შეფასების, ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე. პროგრამის მონაწილეებს ინგლისური ენის ორსაათიანი გაკვეთილები ჩაუტარდებათ კვირაში ორჯერ, არასასკოლო საათებში.

თვეში ერთხელ, მონაწილეებისთვის დაიგეგმება სწავლების გასამდიდრებელი აქტივობა (Enrichment activity), რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები შეხვდებიან მოწვეულ სტუმრებს, ნახავენ და განიხილავენ საინტერესო საგანმანათლებლო და შემეცნებით ფილმებს, მონაწილეობას მიიღებენ მოხალისეობრივ ღონისძიებებში, შესაძლებლობა ექნებათ ვირტუალურად შეხვდნენ აქსეს პროგრამის მოსწავლეებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ა.შ.

პროგრამის მონაწილეები ყოველი წლის ივლისის თვეში მონაწილეობას მიიღებენ 5-დღიან ინგლისურენოვან საზაფხულო სკოლაში, რომლის განმავლობაშიც ჩაერთვებიან სახალისო საგანმანათლებლო და გასართობ აქტივობებში. საზაფხულო სკოლის ერთი დღე დაეთმობა ექსკურსიას.

ორწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს გადაეცემათ ამერიკის ელჩის მიერ ხელმოწერილი სერტიფიკატები.

Access პროგრამის კურიკულუმში ყურადღება მახვილდება სამ ძირითად ასპექტზე: 1) ენობრივი კომპეტენციების განვითარება; 2) მონაწილეთა ზოგადი განათლებისა და თვალსაწიერის გაფართოება და 3) პიროვნული განვითარება.

რამდენიმე წელია აქსეს პროგრამაში „ნეშენალ ჯეოგრაფიკის“ ინოვაციური სახელმძღვანელოები „Pathways“ (https://www.eltngl.com/pathways) გამოიყენება. წიგნს გააჩნია უნივერსალური ონლაინ პლატფორმა, სადაც მასწავლებლებს და მოსწავლეებს უამრავი ფუნქციის გამოყენება შეუძლიათ. პროგრამის ფარგლებში შემუშავებული კურიკულუმი მოიცავს დეტალურ საგაკვეთილო გეგმებს, რომლებიც პროგრამის მასწავლებელს საგრძნობლად უადვილებს გაკვეთილების ჩატარებას ინოვაციური, კომუნიკაციური და მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით.

აპლიკაციის შევსების ინსტრუქცია

გთხოვთ, შეავსოთ აპლიკაციის ყველა პუნქტი. გაითვალისწინეთ, არასრული აპლიკაციები არ მიიღება. თქვენ მიერ შევსებული აპლიკაცია და მასში გადმოცემული ინტერესი მნიშვნელოვანია პროგრამის მონაწილეთა შერჩევისთვის. იყავით რაც შეიძლება კონკრეტული და გადმოგვეცით ამომწურავი ინფორმაცია. შევსებული აპლიკაცია მიიტანეთ „საზოგადოება ბილიკის ოფისში არაუგვიანეს 2026 წლის 6 ნოემბრისა, მისამართზე: ქ. გორი, რუსთაველის ქუჩა #19ა

პროგრამაში მონაწილეობის მოთხოვნათა ჩამონათვალი

ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის პროგრამა ეფუძნება ღია, თანასწორუფლებიან კონკურსს და გამორიცხავს მონაწილეების დისკრიმინაციას მათი რასის, სქესის, რელიგიის, ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობის ან რაიმე სახის უნარშეზღუდვების საფუძველზე. პროგრამა მხარს უჭერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მონაწილეობას პროგრამაში. კონკურსი ღიაა ნებისმიერი პიროვნებისთვის, ვინც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ასაკი:	14–16 წლის
ინგლისური ენის ცოდნის დონე:	შერჩეული მოსწავლე უნდა ფლობდეს ინგლისურს საბაზისო დონეზე მაინც
აკადემიური მოსწრება:	შერჩეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონე სკოლაში უნდა შეესაბამებოდეს 7 ქულას მაინც (10-ქულიან სისტემაში)
ყოფაქცევა:	შერჩეული მოსწავლის ყოფაქცევა სკოლაში შეფასებული უნდა იყოს, როგორც მისაღები/დამაკმაყოფილებელი მაინც

თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი თანმიმდევრობის მიხედვით:

თქვენი აპლიკაცია უნდა შედგებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი დოკუმენტებისაგან. გადახედეთ თითოეული დოკუმენტის შინაარსს და თუ იგი სრულყოფილად არის წარმოდგენილი, მონიშნეთ. თქვენი აპლიკაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით.

- □ შევსებული აპლიკაცია თანდართულ სამოტივაციო წერილთან ერთად: გთხოვთ, წარმოადგინოთ შევსებული აპლიკაციისა და სამოტივაციო წერილის ორიგინალი;
- □ სარეკომენდაციო წერილი/დახასიათება თქვენი კლასის დამრიგებლისგან;
- □ პირადობის მოწმობის ან დაბადების მოწმობის ასლი

<u>არასრულყოფილი აპლიკაციები არ განიხილება</u>

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი“
ქალაქი გორი, რუსთაველის ქ.N19ა
ტელ: 599 53 40 45

საკონტაქტო პირი: მარინე მღებრიშვილი
„საზოგადოება ბილიკი“
ელექტრონული ფოსტა: societybiliki@gmail.com

პროგრამის მასწავლებელი: ნინო სარაული, ტელ: 577 09 32 09
პროგრამის მასწავლებელი: ვერიკო მიჩიტაშვილი, ტელ: 577 09 18 92

ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამის

სააპლიკაციო ფორმა

1. პირადი ინფორმაცია

სახელი: _____

გვარი: _____

დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი): _____/_____/_____ ასაკი: _____

დაბადების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა): _____

ქვეყანა, სადაც ცხოვრობთ: _____ მოქალაქეობა: _____

მისამართი: ქუჩა: _____ სადარბაზო: _____ ბინა: _____

ქალაქი/რეგიონი: _____ ქვეყანა: _____ საფოსტო ინდექსი: _____

სახლის ტელეფონი (ქალაქის კოდი): (_____) - _____

მობილური ტელეფონი (მობილურის კოდი): (_____) - _____

პირადი ელ-ფოსტა: _____

2. მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია.

<u>დედა/კანონიერი წარმომადგენელი:</u>

სახელი, გვარი: _____

მისამართი:

ქუჩა: _____ სადარბაზო: _____ ბინა: _____

ქალაქი/რეგიონი: _____

ტელეფონი (ქალაქის კოდი): (_____) - _____

მობილური ტელეფონი (მობილურის კოდი): (_____) - _____

<u>მამა/კანონიერი წარმომადგენელი:</u>

სახელი, გვარი: _____

მისამართი:

ქუჩა: _____ სადარბაზო: _____ ბინა: _____

ქალაქი/რეგიონი: _____

ტელეფონი (ქალაქის კოდი): (_____) - _____

მობილური ტელეფონი (მობილურის კოდი): (_____) – _____

3. ინგლისური ენის ცოდნის დონე

	კითხვის უნარი	წერის უნარი	სასაუბრო უნარი
გამართულად			
კარგად			
საშუალოდ			
ცუდად			

აკადემიური მიღწევები და ჯილდოები

გთხოვთ, ჩამოთვალოთ, მიუთითოთ თარიღები და აღწეროთ მიღებული აკადემიური მიღწევები და ჯილდოები:

_____

_____

_____

4. სამოტივაციო წერილი

როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? აღწერეთ თქვენი ჰობი და ინტერესები.

რატომ გინდათ ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის (ACCESS) პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

რას ელით პროგრამაში მონაწილეობისგან?

როგორ გამოიყენებთ პროგრამაში მონაწილეობის შედეგად მიღებულ ცოდნას?

მშობლის თანხმობა ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამაში აპლიკანტის მონაწილეობის შესახებ:

თანხმობას ვაცხადებ, ჩემმა შვილმა მონაწილეობა მიიღოს ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამაში

მშობლის ხელმოწერა: _____	*თარიღი:* _____ *(რიცხვი/თვე/წელი)*

აპლიკანტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება:

ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამის განხორციელების განმავლობაში მოხდება პროგრამის მონაწილეების სურათების გადაღება, რომელიც მოგვიანებით განთავსდება PH International-ის, ა(ა)იპ ,,საზოგადოება ბილიკის“ და ამერიკის საელჩოს ვებგვერდებზე. ფოტოები შეიძლება დაერთოს ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშებს და ასევე, გამოყენებულ იქნეს PH International-ის, ა(ა)იპ ,,საზოგადოება ბილიკის“ და ამერიკის საელჩოს საინფორმაციო ბიულეტინებში.

თქვენი ხელმოწერა ადასტურებს, რომ თანახმა ხართ, თქვენი შვილის ფოტოები განთავსდეს PH International-ის, ა(ა)იპ ,,საზოგადოება ბილიკის“ და ამერიკის საელჩოს ვებგვერდებზე. ფოტოები შეიძლება დაერთოს ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშს და ასევე, გამოყენებულ იქნეს PH International-ის, ,,საზოგადოება ბილიკის“ და ამერიკის საელჩოს საინფორმაციო ბიულეტინებში.

თანხმობას ვადასტურებ ხელმოწერით:

მშობლის ხელმოწერა: _____	*თარიღი:* _____ *(რიცხვი/თვე/წელი)*

სარეკომენდაციო წერილი

ინფორმაცია აპლიკანტის შესახებ: უნდა შეავსოს აპლიკანტის კლასის დამრიგებელმა. გთხოვთ, ჩაბეჭდოთ ან გარკვევით ჩაწეროთ.

მოსწავლის გვარი	სახელი	მამის სახელი
სკოლა, კლასი	ქალაქი, ქვეყანა	

შევსების ინსტრუქცია:
ფორმის შევსების დროს გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი მნიშვნელოვანი რჩევები:

- სარეკომენდაციო წერილი ხელმოწერილი უნდა იყოს რეკომენდატორის მიერ და მოიცავდეს ინფორმაციას: რეკომენდატორის სახელი, გვარი და ტელეფონის ნომრები.
- დასრულებული სარეკომენდაციო წერილი უნდა დაუბრუნდეს აპლიკანტს

რამდენი ხანია იცნობთ აპლიკანტს და რა შეგიძლიათ თქვათ მასზე?

გთხოვთ, შეაფასოთ აპლიკანტი შემდეგ სფეროებში (დასვით X ნიშანი შესაბამის სვეტში)

	საუკეთესო	კარგი	საშუალო	სუსტი	ვერ განვსჯი
ლიდერობის უნარი					
აკადემიური მოსწრება					
ახალ სიტუაციებთან შეგუების უნარი					
მოტივაცია					

თქვენი აზრით, რა არის აპლიკანტის საუკეთესო თვისება?

გთხოვთ, შეაფასოთ აპლიკანტის ინგლისური ენის ცოდნის დონე.

	კითხვის უნარი	წერის უნარი	სასაუბრო უნარი
გამართულად			
კარგად			
საშუალოდ			
ცუდად			

გთხოვთ, განგვიმარტოთ, თუ რატომ თვლით, რომ აპლიკანტი მზადაა მონაწილეობა მიიღოს ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის (ACCESS) პროგრამაში?

_____

_____

_____

გთხოვთ, გაგვიზიაროთ აპლიკანტის მიღწევები:

_____

_____

_____

რეკომენდატორი მასწავლებლის სახელი, გვარი (გარკვევით)**:** _____

სამუშაო ადგილი: _____

მისამართი: ქუჩა: _____ **კორპუსი:** _____ **სადარბაზო:** _____ **ბინა:** _____

ქალაქი/რეგიონი: _____**ქვეყანა:** _____**ინდექსი:** _____

სამსახურის ტელეფონი _____**ელ-ფოსტა:** _____

პირადი ტელეფონი:_____

ხელმოწერა: _____ **თარიღი:** _____